



## სლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N19

ქ.ლანჩხუთი

29.11. 2016 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრი და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელი დირექტორი ამირან გიგინეიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე (განცხადება N411-ის საფუძველზე), მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ განმარტა, რომ დღის წესრიგის პროექტი განსაზღვრულია საკრებულოს ბიუროს მიერ. დღის წესრიგის პროექტის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარემ კოლეგებთან ერთად დეპუტატ ევგენი ჩიჩუას მიულოცა დაბადების დღე და უსურვა შემდგომი წარმატებები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

2. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

3. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

4. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ წყალწმინდის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

## 7. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ დღის წესრიგის პროექტის მე-3 და მე-4 საკითხი საკრებულოს სხდომის მიერ განხილულიყო პირველ და მე-2 საკითხად.

**საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შეცვლილ ვარიანტს:**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** დღის წესრიგის პირველ და მე-2 საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი განხილვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაში შედის და თხოვნით მიმართა საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძეს**, ორივე საკითხზე ესაუბრა, ვინაიდან, შინაარსობრივად საკითხები იდენტურია. ამასთან, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომას ესწრება პროექტის ერთ - ერთი თანაავტორი, შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრი და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელი დირექტორი **ამირან გიგინეიშვილი**, რომელიც დამატებით განმარტებებს გააკეთებს საკითხთან დაკავშირებით.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ სუფსის მაჟორიტარი დეპუტატის, ჯუმბერ ბლაგიძის მიერ საკრებულოში შემოვიდა 2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა, რომელიც მომზადებულ იქნა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისგან დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა გურიის სანაპიროს მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია გურიის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო ზონის დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება საშუალო ვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი თვითმმართველობების, აგრეთვე მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით და ძალისხმევით ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის ზრდის შედეგად.

შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრმა და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ევროპული ქალაქები, რომელთაც აქვთ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, უფრო მეტად განვითარდნენ, აგრეთვე გაიზარდა მათი ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალი. როგორც ცნობილია, მდგრადი განვითარება ნიშნავს ეკონომიკის და ცხოვრების დონის ისეთ განვითარებას, რომ არ დაზიანდეს ეკოლოგია. ამასთან, გეგმამ რომ წარმატებით იმუშაოს, მასში ჩართული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, გურიის რეგიონის სანაპიროზე მდებარე გრიგოლეთის თემის (სუფსის ტერიტორიული ერთეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობის მიერ არჩეულმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის წევრებმაც ამ საკითხთან დაკავშირებით გაიარეს ტრენინგი, 2016 წლის იანვარში დაიწყო წინამდებარე გეგმის ჩამოყალიბება ექსპერტებისა და ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრები, აგრეთვე კვლევებში აქტიურად მონაწილეობდა პროფესორი შუქრი თავართქილაძე. თავდაპირველად ჩატარდა თემის სოციალური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად გრიგოლეთში, როგორია საცხოვრებელი პირობები, შემოსავლის ტიპური წყაროები და როგორ აღიქვამს მოსახლეობა საკუთარი ცხოვრების სტილს და სამომავლო შესაძლებლობებს. ამავე დროს შეგროვდა, გაანალიზდა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გ.ი.ს.) რუკების დახმარებით თვალსაჩინოდ იქნა

წარმოდგენილი ინფორმაცია მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ. ამ გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია ფონდების მოძიება და მოზიდვა. დონორის მოძიება გრიგოლეთისთვის უფრო მარტივია, რადგან იგი წარმოდგენს სანაპირო ზოლს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი სპეციფიკა ძალიან განსხვავდება სხვა სოფლების სპეციფიკისგან, ამასთან, მას აქვს განსხვავებული ტურისტული პოტენციალი.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ გაეცნო ორივე რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც, მისი აზრით, ძალიან კომპეტენტურადაა შესრულებული. აღნიშნული გეგმის საფუძველზე შეიძლება სრული ინფორმაციის მიღება იქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ იდეა ქალაქში არ დარჩება. გეგმა იმდენად კარგია, რომ მან განვითარება აუცილებლად უნდა ჰპოვოს და 2021 წლისთვის დასრულებული სახე მიიღოს.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ თავის მხრივ მიესალმება ამირან გიგინეიშვილის მიერ შესანიშნავი პროექტის წარმოდგენას, რომელიც თავისი არსით მართლაც სტრატეგიული განვითარების პროექტია და მუნიციპალიტეტს ბევრ სარგებლობასაც მოუტანს, მაგრამ ზუსტად ერთი წლის წინ, საკრებულოს წევრი, დარეჯან ბურჭულაძე საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე გამოვიდა ინიციატივით გრიგოლეთის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურული და ტურისტული განვითარების შესახებ. მართალია, ეს იყო მხოლოდ ინიციატივის დონეზე და დეპუტატს არ ჰქონდა ასეთი პროექტის სახით გაწერილი, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლებოდა ამირან გიგინეიშვილის მოწვევა და სამუშაო პროცესში ჩართვა, რაც უდავოდ იქნებოდა წინ გადადგმული ნაბიჯი. სამწუხაროდ, ამ ინიციატივამ საკრებულოს წევრების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და იდეა თაროზე შემოიღო. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ იმ პერიოდიდან, როგორც კი საკრებულო შეიკრიბა და შეუდგა მუშაობას, ის დაინტერესდა და მოიკითხა, არსებობდა თუ არა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, მაგრამ პროექტი, სამწუხაროდ, ვერავინ აჩვენა. მან არაერთხელ დააყენა საკითხი ასეთი გეგმის შედგენის შესახებ, რადგან მაშინ თავისთავად და გეგმიურად მოხდებოდა მუნიციპალიტეტის განვითარება. მისასალმებელია, რომ ბოლოსდაბოლოს ერთხელ მაინც მოხდეს ამ კუთხით თანხის გამოყოფა და შესაბამისად, დაიწყოს მუშაობა.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად არაა დასაკარგი დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძის ღვაწლი. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა ასეთი პროექტის სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი, ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრის მცდელობა იყო პირველი ნაბიჯი. დეპუტატმა მაღლიერება გამოთქვა, როგორც პროფესორ შუქრი თავართქილაძის მიმართ, ასევე იმ ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ,

რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ჩატარებულ კვლევებში. წელს ამ რეგიონში უდავოდ იყო მატება ტურისტული პოტენციალის, ხოლო ამ პროექტების განხორციელების შემდეგ უფრო გაიზრდება, რაც წაადგება, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტს. დეპუტატმა მოუწოდა კოლეგებს პროექტის მხარდაჭერისკენ და წინასწარ მადლობა გადაუხადა მათ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N74 (29.11.2016 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ წყალწმინდის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხს სრულიად კანონიერად ლობირებს წყალწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი თეიმურაზ მარშანიშვილი, რომლის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა 2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სანაპირო სოფელ წყალწმინდის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა. იგი შესაბამისად განსახილველად დაეწერა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, რომელმაც იმსჯელა პროექტის შესახებ და დადებითად შეაფასა იგი.

დეპუტატმა **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ამირან გიგინეიშვილთან და მის ჯგუფთან თანამშრომლობა ოთხი წელია გრძელდება, რომლის განმავლობაში ერთობლივად განიხილეს მრავალი საკითხი და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული მუშაობისთვის. მან აღნიშნა, რომ იდეა ქალაქზე ნამდვილად არ დარჩება და წარმოდგენილი გეგმა განხორციელდება, დეპუტატმა საკრებულოს წევრებს თხოვნით მიმართა და მოუწოდა პროექტის მხარდაჭერისკენ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ისიც ესწრებოდა იმ შეხვედრას, რომელზეც ამირან გიგინეიშვილმა წარმოადგინა ფუნდამენტალურ და სერიოზულ კვლევებზე დაყრდნობით მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და ეს იყო მისთვის ძალიან საამაყო. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული გეგმის განვითარებისთვის პირველი ნაბიჯი იქნება გრიგოლეთის აღიარება საკურორტო ზონად. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს გარკვეული თანხა, რომ მოხდეს სანაპირო ზოლის ე.წ. „მაგნიტური“ ქვიშის კვლევა, რომელიც მომავალში გახდება

მალიან მიმზიდველი და საინტერესო, როგორც ტურისტული, ასევე სამედიცინო თვალსაზრისით. ამ ბოლო დროს პრესისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრიგოლეთში იგეგმება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. დეპუტატი დაინტერესდა, რომ ეს მშენებლობა რაიმე საფრთხის შემცველი ხომ არ იქნება გრიგოლეთისთვის ან ხელს ხომ არ შეუშლის სტრატეგიული გეგმის განვითარებას.

შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრმა და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ გრიგოლეთში უკვე წლებია არსებობს ტერმინალი, რომელსაც დღევანდელი ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, არანაირი ზიანი მიუყენებია ეკოლოგიისთვის და არც ადგილობრივი მოსახლეობისთვის. რაც შეეხება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას, მას აუცილებლად უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ და ეს ზემოქმედება უნდა იყოს ნულოვანი.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ სანაპირო ზოლის ფუნდამენტალური კვლევისთვის პროფესორ შუქრი თავართქილაძეს ესაჭიროება გარკვეული თანხა, რათა დაიდოს მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა სანაპირო ზოლის ქვიშის მაგნიტურობის შესახებ, რაც თავის მხრივ განაპირობებს, იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გახდება გრიგოლეთი სამედიცინო თვალსაზრისით და მიენიჭება თუ არა მას სამკურნალო კურორტის სტატუსი. ამასთან, მან მიმართა დეპუტატ თეიმურაზ მარშანიშვილს, რომ შიში გეგმასთან დაკავშირებით განპირობებულია იმით, რომ გასულ წელს დეპუტატებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს ჯიხეთის მონასტრის პროექტის განვითარებას, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, დეპუტატი იმედოვნებს, რომ წარმოდგენილი გეგმა მხოლოდ ქალაქში არ დარჩება.

შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრმა და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან გიგინეიშვილმა** განმარტა, რომ კვლევების ჩატარებისთვის აუცილებელი თანხის გამოყოფა დამოკიდებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე. მთლიანობაში საუბარია დაახლოებით 10 კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლის კვლევაზე, რასაც სავარაუდოდ 7 000 ლარი ჭირდება.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, მართალია, თავის დროზე გაეცნო აღნიშნულ სტრატეგიული განვითარების გეგმას, მაგრამ ამირან გიგინეიშვილისგან მიიღო უფრო ამომწურავი და ზუსტი ინფორმაცია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა. საკრებულოს წევრმა განაცხადა, რომ მისთვის სრულიად გასაგებია ის პრიორიტეტები, რისთვისაც შეირჩა წარმოდგენილი რეგიონები, მაგრამ სასურველია, რომ სხვა სოფლებში და მათ შორის, ლესაშიც დაიწყოს მსგავსი გეგმის განხორციელება. ასევე, მან აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძის შიშს, რადგან უკვე იყო პრეცედენტი, რომ საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი პროექტი არ განხორციელებულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** მაძლობა გადაუხადა შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის მრჩეველთა საბჭოს წევრს და საქართველოს სასოფლო დარბაზის აღმასრულებელ დირექტორს, **ამირან გიგინეიშვილს** და თხოვნით მიმართა მას დახმარება გაეწია წარმოდგენილი გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ფონდების მოძიებაში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N75 (29.11.2016 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ნუმერაციის პროცესი ერთიან სამართლებრივ ჭრილში მოექცა. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ადგილობრივი თვითმმართველობების ნაცვლად, განახორციელებს გეოგრაფიული ობიექტებისთვის სამისამართო ნუმერაციის მინიჭებას, ამიტომ საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა მსჯელობა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესთან და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსთან. მისი აზრით, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბიუჯეტის ახალ პროექტში ამ მიმართულებით მიზერული თანხის გამოყოფა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ გამგეობისთვის მიწოდებულ შენიშვნებში ეს საკითხი გათვალისწინებულია.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.



სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N28 (29.11.2016 წელი).

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომადის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 08 ნოემბერს MES81601338601 წერილით მომართა ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, რომლის თანახმადაც სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ განიხილა და მიიღო წინადადება ლესის საჯარო სკოლისათვის 2004 წლის აგვისტოში დაღუპული გიორგი ლომადის სახელის მინიჭებაზე.

დეპუტატმა **ადამი ხუბუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ტერმინებს აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს ბიჭები შეეწირნენ ქართულ- რუსულ კონფლიქტს. ისინი იბრძოდნენ რუსული რეგულარული არმიის წინააღმდეგ. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, რადგან ამით კნინდება გმირები, რომლებიც ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. „ქართულ - ოსური“, „ქართულ - აფხაზური“ კონფლიქტი ბუნებაში არ არსებობს, არამედ ეს არის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელიც დაიწყო 1801 წელს და გაგრძელდება მანამ, სანამ თუნდაც ერთი ქართველი იქნება ამ ქვეყნად.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** მაძლობა გამოთქვა სოფელ ლესის მოსახლეობის სახელით, მაგრამ ამასთან აღნიშნა, რომ შარშან, როცა საკრებულოს მიერ მიმდინარეობდა ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება, სოციალურ პროგრამებში არსად არ იყო დაფიქსირებული გიორგი ლომადე, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი. რაც შეეხება სახელის მინიჭებას, დაახლოებით 8 წელია მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ ლესის საჯარო სკოლა არის გიორგი ლომადის სახელობის და შენობაზე შესაბამისი აბრაც გამოკრულია, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდნენ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ ასეთი ღონისძიების გატარება, სავარაუდოდ, ლესის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა იყო, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა არა მუნიციპალიტეტის, არამედ შესაბამისი სამინისტროს პრეროგატივაა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N76 (29.11.2016 წელი).

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ**. მან აღნიშნა, რომ რომ ცვლილება განპირობებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისათვის ფუნქციების დამატებით, რაც გულისხმობს თანამშრომლების მიერ დამატებითი სამუშაოს შესრულებას. აღნიშნული საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებს შორის ძირეულ თანამშრომლობას. კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ მიწის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე წამოდგენილ ნაკვეთისა და ფაქტიურ ნაკვეთს შორის იდენტურობის დადგენასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების მიწოდებას, რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა, მოიცავს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების შევსებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული სამსახურის ქონების მართვის განყოფილებაში „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტი“ და განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 2 (ორი) ერთულით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ოქტომბერში კომისიის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი და მიიღეს დადებითი დასკვნა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული საპილოტე პროგრამიდან გამომდინარე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს ფუნქციები გაეზარდა. ამასთან დაკავშირებით ბიურომ, სრული შემადგენლობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომისიებსა და

ფრაქციებს ემსჯელათ აღნიშნულ სამსახურში წამყვანი სპეციალისტისთვის არა რანგის მომატებაზე, არამედ სამტატო განაკვეთის გაზრდის შესახებ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამსახურია. მათი აქტიური მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა საკმაოდ დიდი თანხა. მან მაღლობა გადაუხადა სამსახურის უფროსს და იმედი გამოთქვა, რომ გამგეობის მხრიდან ამ სამსახურის ნაყოფიერი საქმიანობა აღნიშნული იქნება, როგორც წახალისების ფორმით, ასევე მაღლიერების კუთხით. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩხვადქეს შტატის დამატების საკითხთან დაკავშირებით. დეპუტატ ია ჩხაიძის აზრით, წამყვანი სპეციალისტიც გაართმევს თავს დაკისრებულ სამუშაოს, მაგრამ რადგან აღნიშნულ სამსახურს ფუნქციები მოემატა, შესაბამისად გაიზარდა თანამშრომლების პასუხისმგებლობა და მოვალეობები. ყველა ადამიანს ჭირდება მისი შრომის შესაბამისი ანაზღაურება. „მთავარი სპეციალისტი“-ს რანგი ნიშნავს მეტ შრომას, მეტ პასუხისმგებლობას და შესაბამისად, მეტ ხელფასს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ის უფრო მოტივირებულია თავის საქმიანობაში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება დეპუტატ ია ჩხაიძის მიერ გამოთქმულ აზრს ხელფასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულ სამუშაოს საკრებულოსთან არსებული კომისიაც ასრულებდა, ამასთან ერთი სპეციალისტის მეშვეობით და საკმაოდ წარმატებულადაც. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კომისიის სამუშაო მოცულობა არ შეცვლილა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძემ განმარტა, რომ საკრებულოსთან არსებული კომისიის მიერ დაგროვილი გადაუწყვეტელი საკითხები გადაეცა გამგეობას. სულ არის ასეთი 700 - მდე საქმე, რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლოა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ლეგალიზაციის კომისია თავის დროზე მუშაობდა საკმაოდ ნაყოფიერად და წარმატებულად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## მიღებულ იქნა განკარგულება N77 (29.11.2016 წელი).

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოში აღმასრულებელმა ხელისუფლებამ წარმოადგინა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შემუშავდა იმ პარამეტრების გათვალისწინებით და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც მოწოდებულ იქნა სახელმწიფო მთავრობის და ფინანსთა სამინისტროს მიერ. პროექტი ძირითადად ეყრდნობა საგადასახადო ბაზას. მუნიციპალიტეტის ხელისუფლება საზღვრავს მხოლოდ ადგილობრივ მოსაკრებლებს და მუნიციპალური ქონების რეალიზაციიდან მიღებული ქონების შემოსავლებს ანუ არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსულობებს. ამ პრინციპით იქნა განსაზღვრული 2017 წლის შემოსავლების პროექტი 3 168 600 ლარით, გათანაბრებითი ტრანსფერი - 5 025 400 ლარის ფარგლებში, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერი - 220 000 ლარით. აქედან გამომდინარე, სულ შემოსავლების მობილიზაციამ შეადგინა 8 414 000 ლარი. შესაბამისად იქნა გაწერილი ხარჯვითი ნაწილი, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში არაა გათვალისწინებული 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ძირითად მოიცავს გარდამავალ პროექტებს. მათი განხორციელება დაიწყო მიმდინარე წელს და დასრულდება 2017 წელში. ისინი განსაზღვრულია სავარაუდოდ 4 100 000 ლარის ფარგლებში, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება ამ მიმართულებით იქნება 207 000 ლარი საკუთარი შემოსავლებიდან, რომელიც ამ ეტაპზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არაა გათვალისწინებული.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტი ყველა კომისიამ და ფრაქციამ განიხილა, ცნობილია მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და დასკვნები. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** საკრებულოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდეგაც მას მიეცემა შესაბამისი მსვლელობა და მოხდება პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვა. აქედან გამომდინარე, იმ პარამეტრების გათვალისწინებით, რომლის საშუალებაც ბიუჯეტის შემოსავლებით იქნება შესაძლებელი, მოხდება შიდა გადანაწილებები.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების მიერ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წერილობით მიწოდებულია შენიშვნები, რომლებშიც შესაბამისად ფრაქცია „მაჟორიტარები“-ს მხრიდან გამოთქმული შენიშვნებიცაა დაფიქსირებული. მან აღნიშნა, რომ მათი ფრაქციის ძირითად ხედვას წარმოადგენს 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში 15 თვეზე გათვლილი სახელფასო ანაზღაურების გათვალისწინება. ამასთან, ა(ა)იპ-ებიდან შემოსული ბიუჯეტის პროექტები სხვა რეალობას ასახავს და გამგეობის

მიერ მოწოდებული - სხვას. დეპუტატის აზრით, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იქნას მიღწეული შეთანხმება და შესაბამისად იქნება საკრებულოს მხრიდან მხარდაჭერაც.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არის შენიშვნები და კომისიაზე შეგნებულად არ განიხილა ეს საკითხი. ამასთან, დეპუტატმა განაცხადა, რომ სახელმწიფომ თავის დროზე მინიმალური პენსიის ოდენობა განსაზღვრა 180 ლარის ოდენობით და არ შეიძლება, რომ საბიუჯეტო სისტემაში დასაქმებულ ადამიანს ჰქონდეს 180 ლარზე ნაკლები სახელფასო ანაზღაურება, რადგან ეს არის ადამიანთა უფლებების შელახვა.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს ყველა კომისიის და ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნა იქნება გათვალისწინებული და 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი დამტკიცებული იქნება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისთვის. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს დეპუტატ რომან ბიწაძის მიერ გამოთქმულ გულისტკივილს, მინიმალური ხელფასის ოდენობას დაკავშირებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თავის მხრივ მიესალმება კოლეგების აქტიურ ჩართულობას ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, მაგრამ დღეისთვის პროექტი დაბრუნებულია გამგეობისთვის. უფრო ნაყოფიერი იქნება შემდგომი მსჯელობა და შესწორებული ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების გაფართოებულ სხდომებზე. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, შემოსულია ოფიციალური წერილი ტექ-სერვისიდან, რომელსაც არა სახელფასო მუხლში, არამედ საკუთარ ხარჯებთან დაკავშირებით ესაჭიროება გარკვეული თანხა და ითხოვს 23 000 ლარის დამატებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მან მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გარე განათების მოვლა-პატრონობის პარალელურად, განახორციელა სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სხვა დამატებითი სამუშაოები, ამასთან დაემატა 2016 წლის სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად შექმნილი ჯგუფი, რომლისთვისაც შეძენილ იქნა შესაბამისი აღჭურვილობა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ტექ-სერვისს უნდა დაემატოს თანხა, რადგან მხოლოდ ნიგვზიანში დაახლოებით 80 ოჯახია დამოკიდებული წყლის სისტემასა და გენერატორზე. სავარაუდოდ, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სოფლებშიც. რაც შეეხება მინიმალური ხელფასის რაოდენობას, ამის შესახებ თავისი აზრი ფრაქციის სხდომაზეც დააფიქსირა. დეპუტატი თვლის, რომ ხელფასები არათანაბრადაა გადანაწილებული გაერთიანებულ კულტურის ცენტრში. კერძოდ, არჩეულის მუზეუმი მეორეჯერ გაიქურდა, იყო მოთხოვნა დარაჯის დანიშვნაზე, მაგრამ ვერც ერთ დარაჯს ვერ დაავალდებულებენ პასუხისმგებლობის აღებას 90 ლარიანი ანაზღაურების პირობებში.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, რომ ხელფასებთან დაკავშირებით ასეთი მიდგომა ზოგადად ქვეყანაშია, თუ მხოლოდ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში. ეს საკითხი აუცილებლად დასარეგულირებელია, არ შეიძლება დღეს ადამიანს 80 ლარამდე ჰქონდეს ხელფასი. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ გარკვეული თანხა გამოთავისუფლდა კლუბ „ლანჩუთის გურია“-სთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი დაფინანსების სოლიდურად შემცირების გამო.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხია** განმარტა, რომ ყოველივე ამას განაპირობებს რესურსები და შესაძლებლობები. სხვა კანონი ბიუჯეტს არ აქვს. ყველაფერს უნდა რეალობიდან გამომდინარე მიდგომა. რაც შეეხება ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს, მას მომავალი წლიდან დააფინანსებს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი. ადგილობრივ ბიუჯეტის პროექტში მხოლოდ სტადიონის მოვლა-პატრონობისთვისაა გათვალისწინებული 100 000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა გადანაწილდება საჭიროებისამებრ. გარკვეული ნაწილი მიიმართება სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრისთვის, რადგან მომავალი წლიდან იგეგმება ახალი ჯგუფების დამატება. ამასთან, საგადასახადო ბაზა, რომლის უმეტეს წილს საზღვრავს ფინანსთა სამინისტრო, შემცირებულია დაახლოებით 600 000 ლარით. სამსახურის უფროსმა, ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში სახელფასო ანაზღაურება გაცილებით მაღალია, ვიდრე მეზობელ მუნიციპალიტეტებში, მით უმეტეს რომ მათ უფრო მეტი ფინანსური რესურსი გააჩნიათ.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე **ნონა მურვანიძე** აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა ბიუჯეტის პროექტის განხილვიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია იმით, რომ სწორად არ ხდებოდა ბიუჯეტის განკარგვა. კერძოდ, როგორც ცნობილია, შარშან შეიქმნა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, რომელმაც აღებული ვალდებულების საფუძველზე დააკისრა მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-სთვის გადაერიცხა საკმაოდ სოლიდური თანხა. აქედან გამომდინარე, სწორად არ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური ვალდებულების შესრულება ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში. წინა წლებში, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ წარმოადგინა ბიუჯეტის ისეთი პროექტი, რომლითაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრების უმრავლესობის მხარდაჭერის შედეგად 1 250 000 ლარი კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს დაუმტკიცდა. 2017 წლის ბიუჯეტი შემცირებული პროექტითაა წარმოდგენილი, რაც მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას პრობლემას შეუქმნის. დღეს კი არის მოთხოვნა, რომ შემცირებული ბიუჯეტით შესრულდეს ყველაფერი, რაც ნამდვილად ვერ განხორციელდება. ამჟამად, ცენტრალური ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტისგან დამოუკიდებლად ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში მიიმართება გარკვეული დაფინანსება, რომელიც ავტომატურად დააკლდება ადგილობრივ ბიუჯეტს. არადა, ამ თანხით მრავალი სოციალური პროგრამის განხორციელება და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. რაც შეეხება ა(ა)იპ ტექ-სერვისს, მას ნამდვილად ჭირდება გარკვეული თანხის დამატება. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ზემო აკეთში შეიცვალა ელექტრო განათების ბოძები. მაგრამ მათზე დღემდე

არაა დამონტაჟებული გარე განათება, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ტექ-სერვისის ნამდვილად პირნათლად ასრულებს სამუშაოებს. თუ კი სამსახური შეიქმნება, მას ისეთი პირობებიც უნდა ჰქონდეს, რომ შეძლოს სრულფასოვნად და ნაყოფიერად შეასრულოს მათზე დაკისრებული მოვალეობები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ხელისუფლებიდან დამოუკიდებლად, საკუთარი სურვილით ქველმოქმედი ადამიანები ცდილობენ თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ აღმშენებლობაში. კერძოდ, ილო კველიძემ სრულიად უსასყიდლოდ თ.ფირცხალაიშვილის სახლ - მუზეუმს გადასცა ცემენტი და ქვიშა - ღორღის ნარევი. ოთხმა ადგილობრივმა მოსახლემ, და მათ შორის დეპუტატმაც, მუზეუმში დააგეს ე.წ. „სტაჟკა“. მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ეს არც გაერთიანებული კულტურის ცენტრს გაუგია და არც შესაბამის სამსახურს.

დეპუტატმა **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული პრიორიტეტები, როგორცაა ჯანდაცვა, სკოლამდელი განათლება და რა თქმა უნდა, ტექ-სერვისის მომსახურება. რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, პირველ რიგში ის უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ეს თითოეულ ადამიანს ეხება - მიუხედავად იმისა, ჩვეულებრივი მოქალაქეა ის, თუ დეპუტატი. ამის შემდეგ უნდა მოხდეს დარჩენილი ფინანსების გადანაწილება სხვა საჭიროებების მხრივ.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მართალია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობს მოსახლეობა, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო ოპერაცია, რომელიც დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. იქნებ მოხდეს ამ მიმართულებით ბიუჯეტში რაღაც თანხების გათვალისწინება. მან ასეთი შემთხვევის მაგალითად დაასახელა სოფელ შუხუთის მკვიდრი, ახალგაზრდა ქალბატონი ნინო კუკულაძე, რომელსაც აქვს ძალიან სერიოზული პრობლემა მხედველობასთან დაკავშირებით. მას გაკეთებული აქვს რამდენიმე ოპერაცია, მაგრამ საბოლოოდ ესაჭიროება მვირადღირებული ქირურგიული ჩარევა, რაც თურქეთში ხორციელდება და ეს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების ბოლო შანსია. დეპუტატმა თხოვნით მიმამართა საკრებულოს წევრებს და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძეს, რომ შესაძლებლობიდან გამომდინარე, იქნებ გამოინახოს დახმარების რაიმე საშუალება ასეთი შემთხვევების დროს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ხშირად გარკვეული უხერხული სიტუაციები იქმნება სოფლის რწმუნებულების მიერ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარებებისთვის გაცემულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიხედვით, ყოველი მოქალაქის ჯანმრთელობა და სიცოცხლე დაცულია, რაც უდავოდ ხელისუფლების ერთ-ერთ- ყველაზე დიდი მიღწევაა. დღეისთვის

გადაუდებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ოპერაციები და სამედიცინო მომსახურება არის უფასო. აღნიშნული პროგრამით სარგებლობისას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კომისიის თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ ერთჯერადი დახმარების პროგრამაში ჩაიდოს საკმაოდ სოლიდური თანხა. მაგრამ აქ უნდა განისაზღვროს, თუ რა საჭიროების მიხედვით მოხდება ერთჯერადი დახმარების გაცემა. ეს შეიძლება შეეხოს ქირურგიულ ოპერაციებზე თანხის დამატებას ან მინდობით აღზრდიდან დაბრუნებულ ბავშვებზე ერთჯერადი დახმარების გაცემას და ა.შ. ახლო მომავალში მოხდება ამ პროგრამის ერთობლივი განხილვა, რომელშიც, იმედია, მონაწილეობას მიიღებს როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ასევე სოფლის რწმუნებულები. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ საკრებულომ თავის დროზე შეიმუშავა ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი, რომლითაც მოქალაქეს კომისიისთვის უნდა წარედგინა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის და გამგებლის წარმომადგენლის რეკომენდაცია. ამის შემდეგ, ერთობლივად შეჯერდნენ, რომ მოქალაქეს საკრებულოს წევრი გაუწევდა რეკომენდაციას, მაგრამ ერთჯერადი დახმარების წესის ფორმირება განხორციელდა არასწორად, კერძოდ ფრჩხილებში მითითებულია მაჟორიტარი დეპუტატი. დეპუტატმა, ია ჩხაიძემ, თხოვნით მიმართა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძეს, რომ მოხდეს ამ ხარვეზის გამოსწორება, რადგან საკრებულოს ნებისმიერმა წევრმა შეძლოს შუამდგომლობის გაცემა, რის შემდეგაც მოქალაქის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციას შესაბამისი კომისია განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარის, ემზარ თევდორაძის ინიციატივას მოსახლეობის იმ კატეგორიის დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთაც ესაჭიროებათ გადაუდებელი ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურება და ერთ - ერთი ასეთი შემთხვევა, სწორედ სოფელ შუხუთის მკვიდრ ნინო კუკულაძის მაგალითია. ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ შემოვიდა ინიციატივით, რათა მომავალი 2017 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას სამედიცინო მომსახურების ფინანსური დახმარება. კერძოდ, არასაპენსიო ასაკის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც დაავადებულნი არიან კოქსართროზით და საჭიროებენ მენჯ-ბარძაყის პროტეზირებას, ხოლო მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 100 001 ქულამდე, დახმარება განესაზღვროთ ოპერაციის ღირებულების 50 %-ით (უნაღლო ანგარიშსწორებით). აგრეთვე, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების მომსახურება) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსებით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და /ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ, პაციენტის მიერ დარჩენილი სახელმწიფოს დაუფარავი სერვისების გადასახადი წილი 50 %-ით(უნაღლო



ანგარიშსწორებით), პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა არაუმეტეს 1000 ლარისა. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი სავარაუდოდ განისაზღვრება 100 000 ლარით. ფრაქციის წევრების ვარაუდით, პროგრამის ამოქმედება გამოიწვევს აღნიშნული სერვისით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას და შესაბამისად, ნაკლებ ფინანსურ დანახარჯს, კმაყოფილ მოქალაქეთა რიცხვის გაზრდას და საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ჯანდაცვაზე ზრუნვის სახელმწიფო პოლიტიკის სწორად და ეფექტურად გატარებას. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ ინიცირებული პროექტი არის სოციალური პროგრამის ნაწილი, რომლითაც ის უფრო მრავალფეროვანი გახდება. ეს არის უფრო რეალური და კონკრეტული, ვიდრე ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომელსაც ხშირად ახლავს გარკვეული უზუსტობანი.

დეპუტატმა **ამირან ქანთარამ** აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა ზუსტად იყოს გარკვეული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არსში. ამ პროგრამის მიხედვით, მოსახლეობისთვის გადაუდებელი ოპერაციები, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის ყველა გეგმიური ოპერაცია - უფასოა, პენსიონერი გეგმიურ ოპერაციაზე იხდის ღირებულების მხოლოდ 10 %-ს, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი კატეგორია - 30 %-ს. დეპუტატის აზრით, ეს რეალობა ნამდვილად არაა საგანგაშო, პირიქით. რაც შეეხება, ნინო კუკულაძეს, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის წლების განმავლობაში იყო მისი დაწესებულების თანამშრომელი და ძალიან სამწუხაროა, რაც შეემთხვა. მის სახელზე გახსნილია საბანკო ანგარიში, რომელზეც კლინიკამ უკვე გადარიცხა გარკვეული თანხა. სასურველია, რომ შემდგომში დაგვარად გაეწიოს მას ხელისუფლების მხრიდან ფინანსური დახმარება, რადგან ასეთი მძიმე შემთხვევა იშვიათადაა და ყოველ დღე არ ხდება.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ 10 დეკემბრისთვის შემოვა ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ ყველამ მიიღოს პროექტის განხილვაში მონაწილეობა, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N78 (29.11.2016 წელი).**

## სხვადასხვა:

ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილე **ნუგზარ ცინცაძემ** ითხოვა ნებართვა საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მან საკრებულოს ამის თაობაზე მიმართა შესაბამისი განცხადებით.


საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** საკრებულოს წევრებს მიმართა, თანახმა იყვნენ თუ არა ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილე ნუგზარ ცინცაძისთვის მიეცათ საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლება, რაზეც დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს.

ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილე **ნუგზარ ცინცაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ -ის მიერ განხორციელებული სამუშაოები ყველასთვის საჭირო და სტრატეგიული მნიშვნელობისაა. როგორც ცნობილია, ბიუჯეტიდან თანხები ძირითადად მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ, მაგრამ აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას თან ახლავს სერიოზული ხარვეზები. კერძოდ, ბევრ სოფელში დაზიანდა წყალმომარაგების სისტემა. მხოლოდ ერთი ცალი ე.წ. „გადამყვანი“ ღირს 80 ლარი, ასეთი კი უამრავია საჭირო, რათა აღმოიფხვრას დაზიანება. ყოველივეს შესახებ არაერთხელ მიმართეს გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს, მაგრამ უშედეგოდ. ამას გარდა, გაკეთებულ იქნა წყლის 8 სათავე, ხოლო სოფლებში მაქსიმალურადაა კეთილმოწყობილი გარე განათება. ამასთან, ა(ა)იპ-ის დაემატა სამაშველო სამსახური, რომლისთვისაც შეძენილ იქნა აღჭურვილობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისისთვის დამატებით თანხის გამოყოფა, რათა ოპერატიულად განახორციელოს დაკისრებული მოვალეობები და გაუთვალისწინებელი სიტუაციებიდან გამომდინარე დამატებითი სამუშაოები.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** მადლობა გადაუხადა კოლეგებს, სოფელ შუხუთის მკვიდრ ნინო კუკულაძის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გულთან მიტანისა და მისთვის ფინანსური დახმარების სურვილის გამო. მან აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ამ ოჯახის გასაჭირს, რაც მათთვის ძალიან ძნელი და მტკივნეულია. ამიტომ ნებისმიერი მხარდაჭერა და დახმარება მნიშვნელოვანია.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გიორგი ხელაძე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'Giorgi Kheladze', written in a cursive style.

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო